



ადმონსტრაციის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 1 თებერვალი, 2013 წელი

დრო: 11:00 - 12:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ლაშა ტულუში - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
3. ნაზი ჯანუაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
4. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
5. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
6. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
7. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
8. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
9. ნათია აბრამია - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
10. ვანო ჩხიკვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

განსახილველი საკითხები

1. ევროინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია
2. 2013 წლის 11-12 თებერვალს დაგეგმილი არაფორმალური მინისტერიალი
3. მონაცემთა განახლების პროცესი
4. პლატფორმის ჯგუფების სამუშაო გეგმა

5. პლატფორმის ვებ-გვერდის ადმინისტრირება

6. სტუდია "რე" - ს თხოვნა რეკომენდაციაზე

შეხვედრა გახსნა პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი. მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორების ინიციატივით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დამსწრეებმა იმსჯელეს მესამე ჯგუფის შეხვედრაზე (30 იანვარი, 2013) წევრების მიერ დასმულ რამდენიმე საკითხზე. კერძოდ, პირველი კითხვა დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ მოხდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში რესურსის ჯგუფზე გადანაწილება იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის წინა თანაკოორდინატორი, რომლის ორგანიზაციაც არის პროექტის ერთ-ერთი პარტნიორი, უკვე აღარ არის მესამე სამუშაო ჯგუფის წევრი. პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რესურსი, რომელიც პროექტით გამოყოფილია მესამე სამუშაო ჯგუფისთვის მოხმარდება მხოლოდ ამ ჯგუფის აქტივობებს და არ არსებობს თანხის სხვა ჯგუფზე გადატანის საშიშროება.

მეორე საკითხი ეხება პროექტით გათვალისწინებულ ტრენინგს ფანდრაიზინგში. მესამე სამუშაო ჯგუფის რამდენიმე წევრის აზრით, მხოლოდ ორდღიანი ტრენინგი არ იქნება საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად. თავმჯდომარის თქმით, აღნიშნული ტრენინგების მიზანია, პლატფორმის წევრებს გააცნოს ის ძირითადი მიდგომები და პრინციპები, რაც საჭიროა ამ მიმართულებით საქმიანობის სწორად დასაგეგმად. ამასთანავე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარებისა ცენტრი, რომელსაც პროექტით აღებული აქვს ტრენინგების ჩატარების ვალდებულება, საკმაოდ წარმატებულია ამ საქმეში და მისი გამოცდილება მაღალი ხარისხის ტრენინგების ჩატარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. პლატფორმის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭო თუ სამდივნო ყველანაირად დაეხმარება პლატფორმის წევრებს კოალიციური პროექტების მომზადებაში, იქნება ეს რეკომენდაციები თუ ასოცირებული პარტნიორობა.

მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ 14 მარტი არის მაღალ კაშხლებთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. ამასთან დაკავშირებით ჯგუფს სურს გამართოს აქცია და კონფერენცია, რომლისთვისაც საჭირო იქნება რესურსების მოძიება. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის დაეხმარება ჯგუფს საჭირო სახსრების მოძიებაში, ხოლო პლატფორმის სამდივნო უზრუნველყოფს ღონისძიების ორგანიზებას.

ამის შემდეგ დამსწრეებმა იმსჯელეს ევროინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიაზე. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების იდეა 2004 წლიდან არსებობს, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა მისი მომზადება. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში კვლავ გაჩნდა ამ დოკუმენტის შექმნის საჭიროება. ევროინტეგრაციის სამინისტროს და პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ძალიან დიდი სურვილია, რომ დასავლეთ ბალკანური ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც არსებობდეს მსგავსი სტრატეგია. ევროინტეგრაციის სამინისტროს თხოვნით ფონდმა ღია საზოგადოება -

საქართველო დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა და მოიძია მონტენეგროს, ბოსნიის, ხორვატიისა და მოლდოვის მსგავსი დოკუმენტები. შედეგად მათზე დაყრდნობითა და საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შექმნა სტრატეგიის სამუშაო ვერსია.

პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი მთლიანობაში საინტერესოა, თუმცა მასში მოცემული აქტივობები ძირითადად დაკავშირებულია ევროინტეგრაციის სამინისტროსთან. საჭიროა სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდეს დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი ამ დოკუმენტთან მიმართებაში, რადგან შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მთავრობისა და სამოქალაქო სექტორის აზრი ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. რაც შეეხება მედიას, ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები უნდა შუქდებოდეს ოპტიმისტურად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თანაკოორდინატორის აზრით, საჭიროა მოვლენები შუქდებოდეს რეალისტურად და არა ოპტიმისტურად ან პესიმისტურად. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს უცხოენოვან მედიაზე საქართველოში. დაკვირვებამ აჩვენა, რომ უცხოურ მედიაში საქართველოზე დაბეჭდილ სტატიები უფრო ნაკლებად იკითხება, ვიდრე ქართულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასავლეთ ბალკანური ქვეყნების შემთხვევაშიც იყო ერთი სამინისტრო, რომლის ფარგლებშიც მზადდებოდა აღნიშნული სტრატეგია. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ნათქვამია, რომ უნდა მომზადდეს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთავრობის საინფორმაციო სამსახურის მონაწილეობით. სტრატეგიაში უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის მიღება მოხდება მხოლოდ ყველა მონაწილე მხარის თანხმობის შემთხვევაში.

მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, სტრატეგიისა და ყოველწლიური სამოქმედო გეგმის განხორციელების ბიუჯეტი არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთ, ევროინტეგრაციის სამინისტროს, არამედ გადანაწილებული უნდა იყოს იმ სამინისტროებზე, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ ევროკავშირის პროგრამებზე, მაგ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მნიშვნელოვანია სტრატეგიაში წინასწარ გაიწეროს, რომ პრიორიტეტები აისახება სამოქმედო გეგმებში. ამასთანავე იმ საბჭოს გარდა, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი, უნდა არსებობდეს მასმედის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უხოელებისაგან შემდგარი მუშა საკოორდინაციო საბჭო. აღნიშნული საბჭო იქნება გაცილებით მოქნილი, ვიდრე საბჭო პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. თანაკოორდინატორის აზრით, ყოველწლიური გეგმის შედგენის შედეგ აუცილებელია მისი განხორციელების მონიტორინგი, რომელსაც მხოლოდ სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს. საჭიროა გეგმის მონიტორინგი დაევალოს არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეულ ჯგუფს.

მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, იმისათვის, რომ სტრატეგია არ დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე, საჭიროა მან ასახვა ჰპოვოს კანონმდებლობაში, პოლიტიკურ დოკუმენტებში და იყოს სავალდებულო ყველა სტრუქტურისთვის.

მეოთხე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ სტრატეგიაში მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები ეთნიკური უმცირესობების საკითხი. როცა საუბარია მოსახლეობის

ინფორმირებაზე, განსაკუთრებით რეგიონებში და იმ კატეგორიის, რომელიც მგრძობიარეა ნებისმიერი რეფორმის თუ ცვლილების მიმართ, აუცილებელია ეს საკითხი შესაბამისად იყოს დარეგულირებული. ამ შემთხვევაში ინფორმაცია უნდა გავრცელდეს მხოლოდ მათთვის მისაღებ ენაზე.

ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ სტრატეგიის სამუშაო ვერსია კომენტარებისა და შენიშვნებისთვის დაიგზავნება ყველა ჯგუფში. თანაკოორდინატორები შეაჯამებენ როგორც თავიანთ, ასევე ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებულ კომენტარებს და შესწორებულ დოკუმენტს 8 თებერვლამდე გადაუგზავნიან ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს წარმომადგენელს. რამდენადაც სტრატეგიის სამუშაო ვერსიის პირველადი დოკუმენტი მზად უნდა იყოს თებერვლის ბოლოს, 18 თებერვალისთვის მოეწყობა სტრატეგიის განხილვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პლატფორმის დაინტერესებული წევრი ორგანიზაციები და მედია კოალიციის წარმომადგენლები. დამუშავებული დოკუმენტი წარედგინება ევროინტეგრაციის სამინისტროს და მათი მონაწილეობით მოეწყობა კიდევ ერთი განხილვა. შესაძლებელია სტრატეგია განხილულ იქნეს პარლამენტის საგარეო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის კომიტეტებშიც.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია 2013 წლის 11-12 თებერვალს თბილისში დაგეგმილი არაფორმალური მინისტრიალის შესახებ. მინისტრიალში მონაწილეობას იღებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის საგარეო საქმეთა მინისტრები და ასევე საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე, კრისტოფ ბობინსკი, რომელიც სიტყვით მიმართავს საგარეო საქმეთა მინისტრებს. მოხსენება შეეხება რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის გარემოს დაცვით მმართველობას, არჩევნებს, აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენებს და სხვა საკითხებს. თავმჯდომარემ დასწრეებს სთხოვა, რომ უახლოეს დღეებში მიაწოდონ იმ თემების ჩამანათვალი, რომლებზეც მათი აზრით საჭიროა ყურადღების გამახვილება. მეორე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, პლატფორმამ უნდა გააკეთოს განცხადება ევროსაბჭოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეხება ქართულ მედიაში არსებულ პრობლემებს. თანაკოორდინატორის აზრით, ევროსაბჭოს ასეთი განცხადება აფუჭებს ევროკავშირისა და საქართველოს მოსახლეობის ურთიერთობას. თავმჯდომარემ დამსწრეებს აცნობა, რომ მინისტრიალის ფარგლებში პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეხვდნებიან ევროკომისარ შტეფან ფულეს. კონკრეტული დეტალები შეხვედრის შესახებ უფრო მოგვიანებით გახდება ცნობილი.

შემდეგ საკითხად დამსწრეებმა იმსჯელეს მონაცემთა განახლების პროცესზე. პლატფორმის სამდივნოს ინფორმაციით 106 ორგანიზაციიდან განახლებული სააპლიკაციო ფორმები გამოაგზავნა მხოლოდ 62 ორგანიზაციამ. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მონაცემთა განახლების პროცესი გაგრძელდა 8 თებერვლამდე. დამსწრეები შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ განმეორებით ვადის გასვლის შემდეგ, სამდივნო კიდევ ერთკვირიან ვადას მისცემ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც 8 თებერვლამდე არ განაახლებენ მონაცემებს, ხოლო მესამე ვადის ამოწურვის შემდეგ, მათ ავტომატურად შეუჩერდებათ პლატფორმის წევრობა მომდევნო საერთო კრებამდე.

რაც შეეხება პლატფორმის ჯგუფების სამუშაო გეგმას, თანაკოორდინატორებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა და 15 თებერვლისთვის ოთხივე ჯგუფს მზად

ექნება სამუშაო გეგმა. მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ ჯგუფის გადაწყვეტილებით სამუშაო შეხვედრები გაიმართება ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს. ყველა გეგმიური შეხვედრა იქნება ერთ კონკრეტულ თემაზე. გეგმიური შეხვედრების გარდა ჯგუფის წევრებს ექნებათ შესაძლებლობა მოითხოვონ რიგგარეშე შეხვედრის დანიშვნა. ჯგუფის მუშაობის სისტემაში მოსაყვანად, მზადდება ასევე რეგლამენტი, რომელშიც გაიწერება ჯგუფის მუშაობის კონკრეტული წესები და პირობები. გარდა ამისა, მესამე სამუშაო ჯგუფის 8 ორგანიზაცია მონაწილეობას იღებს ხუდონჰესის ხელშეკრულების განხილვის პროცესში. თანაკოორდინატორის თქმით, შედეგების შესახებ ის პერიოდულად აცნობებს საკოორდინაციო საბჭოს. მეოთხე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორების გადაწყვეტილებით ჯგუფის შეხვედრები გაიმართება ყოველი თვის მესამე კვირის ოთხშაბათს.

ამის შემდეგ დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების აპლიკაციები. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა ოთხი ორგანიზაციის წევრობის საკითხი:

1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი
2. ჯუნიორ ეზივმენტი საქართველო
3. ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი
4. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

გადაწყდა, რომ აპლიკანტთა სიმრავლის გამო, წევრობის მსურველთა განაცხადები გაიგზავნება სამუშაო ჯგუფებში. გადაწყვეტილების მიღებამდე ჯგუფის წევრების მოსაზრებებს ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებით თანაკოორდინატორები გააცნობენ საკოორდინაციო საბჭოს.

რაც შეეხება პლატფორმის ვებ-გვერდს, მის ადმინისტრირებას გააგრძელებს ადამიანის უფლებათა ცენტრი პლატფორმის სამდივნოს დახმარებით.

შეხვედრის ბოლოს თავმჯდომარემ დამსწრეებს აცნობა, რომ შემოვიდა სტუდია ” რე ” - ს თხოვნა რეკომენდაციაზე. ორგანიზაციამ წარმოადგინა პროექტის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც იგი პლატფორმისთვის მოამზადებს გადაცემებს სხვადასხვა თემებზე. თანაკოორდინატორებმა აღნიშნეს, რომ ისინი სიამოვნებით დაუჭერენ მხარს სტუდია ” რე ” - ს საპროექტო განაცხადს.

საათნახევრიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია